



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### თერგი

თერგი, მდინარე საქართველოსა (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) და რუსეთის ფედერაციაში (ჩრდ. ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ინგუშეთი, ჩაჩნეთი, დაღესტანი). სიგრძე 623 კმ (აქედან საქართვ. ფარგლებში 85 კმ). აუზის ფართ. 43,2 ათ. კმ<sup>2</sup>. სათავეს იღებს მწვ. ბილგახოხის ჩრდ. და აღმ. კალთების მყინვარებიდან, ზ. დ. 2800 მ-ზე მაღლა. სათავიდან 30 კმ-ზე მიედინება კავკასიონის მთავარ და გვერდით ქედებს შორის. ზემონელში, თრუსოს ხეობის მონაკვეთზე, იერთებს მრავალ მყინვარულ ნაკადს, რ-თაგან აღსანიშნავია სუათისი, ჯიმარისწყალი, რესინწყალი, წონოლთისწყალი, ესიქომი. სოფ. კობთან თ. მკვეთრად უხვევს ჩრდ-კენ და კვეთს გვერდით ქედს. სტეფანწმინდა-დარიალის მონაკვეთზე თერგს ერთვის მდინარეები: სნოსწყალი, ხდე, ჩხერი, ყაბახი და სხვ. დარიალში თერგს უბარმაზარი ვარდნა აქვს და მისი კალაპოტის აბსოლ. ნიშნულები კლდეკარის უვიწროეს ნაწილში (მდ. ხდის შესართავის მიდამოებში) ეცემა 1350 მ-მდე, ხოლო საქართვ. ჩრდ. საზღვართან – 1200 მ-მდე.

დარიალის ხეობის შემდეგ თ. კვეთს კლდოვან ქედსა და შავ მთებს. ბარში იტოტება. მდ. სუნჯის შეერთების შემდეგ მიედინება კასპიისპირა დაბლობზე და ერთვის კასპიის ზღვას. შესართავთან აჩენს დელტას (ფართ. 4 ათ. კმ<sup>2</sup>). თერგის აუზის მდინარეთა ჩამონადენი მაღალმთიან ზონაში 30-40 ლ/წმ შეადგენს 1 კმ<sup>2</sup>-ზე, ქვედა ზონაში – 20 ლ/წმ. მდინარეთა წყალდიდობა ბაფხულში იცის ძლიერი წვიმებისა და მყინვარების ინტენს. დნობის დროს, წყალმცირობა – ზამთარში.

თ. მდიდარია თევზით (კალმახი, თერგის ორაგული, კობრი, ფარგა და სხვ.). ნაწილობრივ თ-ის ხეობაში გადის საქართველოს სამხედრო გზა.

თ. მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“:  
„მდინარესა ჴევისასა ეწოდების არაგვვე ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის-მდინარე ძუელადვე,  
და ან უწოდებენ თერგსა“.

**გ. გიგინეიშვილი**

---